ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გარემოს დაცვის კომისიის სხდომის

ოქმი №2

20.11.2017 წ. ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

17:00 სთ

სხდომას ესწრებოდნენ:

გარემოს დაცვის კომისიის წევრები: ერეკლე კუხიანიძე (კომისიის თავმჯდომარე), გიორგი ტყემალაძე, თარაშ შურღაია, ლევან ჯაფარიძე, ლევან ჟორჟოლიანი, გიორგი დოხტურიშვილი, ირაკლი ნადირაძე, ელენე ოზაშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

მოწვეული სტუმრები:

1. **გაიოზ თალაკვაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი;
2. **თეიმურაზ ფხალაძე** - სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის „ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს დირექტორი;
3. **ალექსანდრე კოდუა** - სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის „ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს დირექტორის მოადგილე.

სხდომას თავმჯდომარეობდა: ერეკლე კუხიანიძე (კომისიის თავმჯდომარე).

სხდომის დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტის თაობაზე (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის დ. ნარმანიას 2017 წლის 10 ნოემბრის №12-031731434-03 წერილი) - ოქმს ერთვის

სხდომის თავმჯდომარე ბ-ნი ერეკლე კუხიანიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს დღის წესრიგის პირველი საკითხი - „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტის თაობაზე (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის დ. ნარმანიას 2017 წლის 10 ნოემბრის №12-031731434-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგის პირველი საკითხი წარმოადგინა ბ-ნმა გაიოზ თალაკვაძემ.

მომხსენებლის (გაიოზ თალაკვაძის) მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მოსმენის შემდეგ, **აზრი გამოთქვეს**: ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ, ბ-ნმა ირაკლი ნადირაძემ, ბ-ნმა გიორგი ტყემალაძემ.

სხდომის თავმჯდომარემ ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ ისაუბრა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის პროექტში“ (ასიგნებებისა და პროგრამების ნაწილში) არსებული უზუსტობების თაობაზე, რომლებსაც ესაჭიროება გასწორება და ფაქტობრივ მონაცემებთან შესაბამისობაში მოყვანა. ასევე, ყურადღება გაამახვილა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 და 2017 წლის ბიუჯეტის მაჩვენებლებთან შედარებით, ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნებისა და გაუმჯობესების პროგრამების (პროგრამის კოდი: 3) დაფინანსების გაზრდის თაობაზე, შესაბამისად, აღნიშნული საბიუჯეტო დაფინანსების ზრდის ტენდენცია მისასალმებელია, თუმცა, მთლიანობაში, წარმოდგენილი საბიუჯეტო პროექტის გარემოსდაცვითი პრიორიტეტები სრულფასოვნად ვერ პასუხობს არსებულ გამოწვევებს.

წარმოდგენილ დოკუმენტში არ არის ასახული, ისეთი პროექტები, როგორიცაა:

1) თბილისის ზღვის მიმდებარედ დენდროლოგიური პარკის რეაბილიტაციის პროექტი. 2014-2016 წლებში დენდროლოგიური პარკის სარეაბილიტაციო ღონისძიებების ფარგლებში დაირგო მრავალწლოვანი ხე-მცენარეები და საბიუჯეტო დაფინანსების შეწყვეტით, საფრთხე ექმნება მწვანე ნარგვავების შენარჩუნებას.

2) ხე-მცენარეების გადარგვა და მისი მოვლა-პატრონობის პროგრამა. პროგრამის დაფინანსების შეწყვეტამ, შესაძლოა, ნეგატიურად იმოქმედოს დედაქალაქის ეკოლოგიურ მდგომარეობაზე და შეაფერხოს მუნიციპალური პროგრამებით (მაგ., კეთილმოწყობის პროგრამებით) გათვალისწინებული მთელი რიგი სამუშაოები.

3) მთაწმინდის ფერდობის აღდგენა-რეაბილიტაციის პროგრამა. 2017 წლის 9 აგვისტოს, თბილისის ცენტრში, მთაწმინდის ფერდობზე გაჩენილი ხანძრის შედეგად დაიწვა და დაზიანდა 2 ჰექტრამდე მიწის ფართობზე გაშენებული მრავალწლოვანი ხე-ბუჩქოვანი მცენარეები და ფერდობის ბალახოვანი საფარი. მთაწმინდის ფერდობის შესაბამისი აღდგენითი ღონისძიებების გარეშე, იზრდება ნიადაგის ეროზიისა და მეწყერული პროცესების დაწყების საფრთხე.

ბ-ნმა ირაკლი ნადირაძემ ყურადღება გაამახვილა იმ პროცედურების თაობაზე, რომლის გავლის შემდეგ, შესაძლებელი გახდება წარმოდგენილი ფინანსური დოკუმენტის პროექტი, შენიშვნებითა და წინადადებებით, დაუბრუნდეს მთავრობას საბოლოო დოკუმენტის ჩამოსაყალიბლებლად და კანონმდებლობით დადგენილ ვადებში, საკრებულოსთვის განსახილველად და დასამტკიცებლად წარმოდგენის მიზნით.

ბ-ნმა გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ არის ისეთი მნიშვნელოვანი თემები, რომელთა ასახვაც უნდა განხორციელდეს წარმოდგენილ საბიუჯეტო პროექტში, რაც კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების დაცვით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დარგობრივი კომისიებისა და ფრაქციების შენიშვნებისა და წინადადებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიისთვის მიწოდების შედეგ, განიხილება.

შეკითხვები დასვა:

ბ-ნმა ირაკლი ნადირაძემ:

- შპს „თბილსერვის ჯგუფის“ კაპიტალში 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარის ასახვის გამომწვევი მიზეზის შესახებ;
- თბილისის ზოოლოგიური პარკის თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე გადატანის პროექტის თაობაზე;
- ლილოს საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონის თაობაზე.

ბ-ნი ირაკლი ნადირაძის მიერ დასმულ შეკითხვებს უპასუხა მომხსენებელმა ბ-ნმა გაიოზ თალაკვაძემ. მომხსენებლის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2016 წლის 10 თებერვლის №06.17.129 განკარგულებით განსაზღვრული 10 სკვერის მოვლა-პატრონობის ღონისძიებებისთვის შპს „თბილსერვის ჯგუფის“ კაპიტალში უნდა იქნას ასახული 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარი. თბილისის ზოოლოგიური პარკის გადატანისა და ლილოს საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონის თაობაზე დასმულ შეკითხვებთან დაკავშირებით მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ორივე პროგრამა განხორციელდება 2018 წელს.

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრების მხრიდან სხვა შენიშვნები და წინადადებები არ დაფიქსირებულა.

კომისიის სხდომაზე მოსმენილი ინფორმაციის, ასევე გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადების შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ კომისიის წევრებს მიმართა, კენჭი ეყარათ შემდეგი წინადადებისთვის:

1. მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ა/წლის 10 ნოემბრის **№12-031731434-03** წერილით წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი დაუბრუნდეს დედაქალაქის მერიას და ეთხოვოს ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის მერს და მთავრობას, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის“ ახალი პროექტის წარმოდგენისას, შესაძლებლობის ფარგლებში, გაითვალისწინოს კომისიის შემდეგი შენიშვნები და წინადადები:

1) გამწვანების ღონისძიებებში (კოდი: 03 01) აისახოს:

- თბილისის ზღვის მიმდებარედ დენდროლოგიური პარკის რეაბილიტაციის პროექტი შესაბამისი დაფინანსებით (შესაძლებლობის ფარგლებში);

- ხე-მცენარეების გადარგვა და მისი მოვლა-პატრონობის პროგრამა შესაბამისი დაფინანსებით;

- მთაწმინდის ფერდობის სარეაბილიტაციო ღონისძიებების (ტერიტორიის შესწავლის, საგაზაფხულო და საშემოდგომო რგვებისთვის მომზადების, ახალი ნერგების შეძენისა და დარგვის, შემდგომი მოვლა-პატრონობის უზრუნველყოფით, დაზიანებული ხეების მოჭრისა და ტერიტორიიდან გატანის) დაფინანსება.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6
წინააღმდეგი - 1
თავი შეიკავა - 1

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით

გადაწყვიტეს:

1. მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ა/წლის 10 ნოემბრის №12-031731434-03 წერილით წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი დაუბრუნდეს დედაქალაქის მერიას და ეთხოვოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს და მთავრობას, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის“ ახალი პროექტის წარმოდგენისას, შესაძლებლობის ფარგლებში, გაითვალისწინოს კომისიის შემდეგი შენიშვნები და წინადადები:

1) გამწვანების ღონისძიებებში (კოდი: 03 01) აისახოს:

- თბილისის ზღვის მიმდებარედ დენდროლოგიური პარკის რეაბილიტაციის პროექტი შესაბამისი დაფინანსებით (შესაძლებლობის ფარგლებში);

- ხე-მცენარეების გადარგვა და მისი მოვლა-პატრონობის პროგრამა შესაბამისი დაფინანსებით;

- მთაწმინდის ფერდობის სარეაბილიტაციო ღონისძიებების (ტერიტორიის შესწავლის, საგაზაფხულო და საშემოდგომო რგვეებისთვის მომზადების, ახალი ნერგების შეძენისა და დარგვის, შემდგომი მოვლა-პატრონობის უზრუნველყოფით, დაზიანებული ხეების მოჭრისა და ტერიტორიიდან გატანის) დაფინანსება.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: ერეკლე კუხიანიძე